



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ნანა გაგუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაკა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარიამ ფერიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240891273

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფელი
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალსოფელი
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2428?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	qarakhalsopeli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 577 911

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება N MES 5 24 0000611880 03.06.2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 ივნისი 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალსოფელი საკადასტრო კოდი 68.07.43.403 შენობა N01
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალსოფელი საკადასტრო კოდი 68.07.43.403 შენობა N01
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალსოფელი საკადასტრო კოდი 68.07.43.403 შენობა N01

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ 3 ივნიშის MES 5 24 0000611880 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2024 წლის 25 და 26 ივნისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლაში. (მისამართი; ქარელის მუნიციპალიტეტი სოფელი ახალსოფელი).

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ დისტანციურ რეჟიმში რამდენიმეჯერ შეხვდა. ამ შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად იქნა შემუშავებული დღის წესრიგი. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, საჯაროობის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათესწლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საშტატო განრიგით დამტკიცებული პოზიციების წარმომადგენლები. საგნობრივმა ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს TEAMS-ის პლატფორმის გამოყენებით, წინასწარ გაწერილი განრიგის შესაბამისად. დაწყებითი განათლების ექსპერტი შეხვდა დაწყებითი I-IV კლასების მასწავლებლებს, რომლებიც კომბინირებულად ასწავლიან ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველებას (ასეთი იყო მხოლოდ I-II კლასები). ასევე ის ესწრებოდა და ჩართული იყო ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების ექსპერტებთან ერთად საგნობრივი ჯგუფების შეხვედრებზე. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. დაწყებითი განათლების ექსპერტმა მოახდინა საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწერილი დასკვნის რევიზია. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	-----------------------------	---



--	--	--

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის საფუძველზე დავადგინეთ ის მიმართულებები და აქტივობები, რაც სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებს:

სკოლა ჩართულია USAID სამოქალაქო განათლების პროგრამაში. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი. პროგრამა PH international-ის ფარგლებში პროექტში „მომავლის თაობა“ სკოლას აქტიური და წარმატებული ჩართულობისთვის გადაეცა საოფისე ტექნიკა. ამავე პროექტის ფარგლებში სკოლამ უმასპინძლა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმს.

სამოქალაქო კლუბის „ტოლერანტი“ მიერ განხორციელდა პროექტი „ზრუნვით გავუთბოთ ერთმანეთს გულები“, რომელიც გათვლილი იყო ადგილობრივი და დევნილი ახალგაზრდების მეტად ინტეგრაციაზე. ამავე კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სისტემატიურად ეწყობა სპორტული ღონისძიებები და ლაშქრობები.

წარმატებით ჩაერთო სკოლა ორგანიზაციის „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „შექმენი ეკოგმირი“, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ გამხორციელებულ კამპანიაში „მოიწვიე ფინედუ კლასში“, თსუ საბავშვო უნივერსიტეტისა და საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩემი თვალთ დანახული სამყარო“.

სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრას პრაქტიკაში აქვს დანერგილი და პერიოდულად ახორციელებს პროექტს „გაკვეთილი მუზეუმში“.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის და ამ მიზნით აგარის პროფესიული სასწავლებლის ხშირი სტუმარია. მას აქვს კარგი გამოცდილება მუნიციპალიტეტის სხვა სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე აქტიური თანამშრომლობისა.

ასევე სკოლას კარგი პრაქტიკა აქვს კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის და მათი წარმატებული პრაქტიკის მოსწავლეებისთვის გაზიარების.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 130	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური.	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით 29.03.2024 -29.03.2025 უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმის დამტკიცება. არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი ვადების მიხედვით 01.07.2024-01.07.2025 სკოლა მოიპოვებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტურს.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლა ტერიტორიაზე პირველადი დახმარება აღმოჩენას.	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 27.03.2024-27.03.2025 სკოლამ უზრუნველყოს ექიმი/ექთანის პოზიციაზე შესაბამის კადრის აყვანა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 08.04.2024-08.04.2025 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სტანდარტის შესაბამისად აღჭურვა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელში გაწერილი ვადების მიხედვით 26.07.2024

		16.09.2024. უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კურიკულუმის კორექტირებას.
--	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ფილოსოფიის ის ნაწილი სადაც საუბარია ღირებულებებზე, განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში იყოს იდენტური.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლას მიეცა რჩევა შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ცალკე დოკუმენტი.



3.4.1	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	რჩევა- ადამიანების უსაფრთხოებისა და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი.
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	რჩევა- საქართველო კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	რჩევა - სასურველია სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი და დოკუმენტად ინახებოდეს ამონაწერის ის ვარიანტი სადაც ფართის მოსარგებლედ სკოლა იქნება მითითებული.
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკა სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.	სკოლას მიეცა რჩევა წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე იზრუნოს სხვადასხვა პროექტებში ჩართულობით. მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაინტერესებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N....		



2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	მათემატიკა - სასურველია პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტიზაციით შეადგინონ და დახვეწონ III და IV კლასის კურიკულუმები, მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები. ქართული ენისა და ლიტ. სასურველია, თითოეული კლასის კურიკულუმში აგებული იყოს ერთი პრინციპით, კერძოდ, ყოველი თემის გასწვრივ ფიქსირდებოდეს ესგ-ით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება, თემის შესაბამისი ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. უცხოური ენები სასურველია ყველა თავთან დასახელდეს და დამუშავდეს ქვეცნებები. პირველი კლასის ინგლისურის კურიკულუმში თავებთან (I, II, III, IV, V, VI, VII და VIII) მიეთითოს რესურსი. მეორე კლასის ინგლისურის კურიკულუმში მიეთითოს სახელმძღვანელო სახელწოდება. ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტ-მაგალითი; კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის) შეივსოს.
2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ქართ.ენისა და ლიტ. კურიკულუმში სასურველია ფიქსირდებოდეს თითოეული თემის დასამუშავებლად განკუთვნილი დრო (სასწავლო კვირებთან საათების მიახლოებული რიცხვი).
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეს მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლოს შედეგების მიღწევას.	მათემატიკა - სასურველია IV კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას დავალების დამუშავება მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა). კურიკულუმში რესურსები მხოლოდ სახელმძღვანელო დასახელებული.
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში სასურველია სასწავლო პროცესში მეტი და ამასთან მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება (თითოეული თემის შესაბამისად), რომელიც მიმართული იქნება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომაზე.

2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასების რუბრიკებში სასურველია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია განმავითარებელი შეფასების გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხური კურიკულუმებში მოცემული სამიზნე ცნებებთან და დაგეგმილ კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია მე-5 -6 კლასების ბუნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ნათლად იყოს გამოკვეთილი საკითხ რომლის შეფასებასაც ვახდენთ და სამიზნე ცნებები, რომლის შესაბამისად უნდა მოხდეს საკითხის შეფასება.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური სამართლიანი	ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასების რუბრიკებში სასურველია გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები როგორც საშინაო, აგრეთვე საკლასო აქტივობებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში	ქართ.ენა და ლიტ. სასურველია, თითოეული თემის დამუშავების გამოყენებულ იქნეს დამატებითი რესურსები თვალსაჩინოებელი ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალების, სქემების, გრაფიკული მათერგანიზებლების და სხვა მასალების სახით.
2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	უცხოური ენა - სასურველია კურიკულუმში „ლინკის“ ჩაშენებას აარიდოთ თავი და სხვანაირად შეეცადოთ რესურსის მითითებას ან ხშირად გადაამოწმოთ რამდენად მუშაობს ლინკი და შემთხვევით სხვა რესურსს ხომ არ ხსნის.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N....		
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია თითოეული კლასის კურიკულუმი აგებული იყოს ერთი პრინციპით, კერძოდ, ყოველი თემა გასწვრივ ფიქსირდებოდეს ესგ-ით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნებების თემის შესაბამისი ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები.

		კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტ-მაგალითი კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის) უნდა იყოს შევსებული..
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ნათლად იყოს გამოკვეთილი საკითხი, რომლის შეფასებასაც ვახდენთ და სამიზნე ცნებებს რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს საკითხის შეფასება.
2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ქართული ენა და ლიტერატურა -სასურველია კურიკულუმში დამატებული ფიქსირდებოდეს თითოეული თემის დამუშავებისათვის გამოყოფილ მიახლოებითი დრო, აგრეთვე კომპლექსური დავალებების შესრულებისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებულ რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.	მათემატიკა - სასურველია IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნას დავალების და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა).
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს კონტექსტ-მაგალითები (პარალელური შედარებები, მაგალითები და ა.შ.) და დამატებითი რესურსები ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალები.
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში.	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია უფრო მეტი დატვირთვა იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში დამხმარე სასწავლო რესურსები ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალების, გრაფიკული მათერიალების, სქემების, თვალსაჩინოებების, ნიმუშების და ა.შ. სახით;
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური სამართლიანი	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია, შეფასების რუბრიკებში მეტი გამჭვირვალობა - გარკვევით გაიწეროს თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური და მინიმალური ქულებით შეფასების კრიტერიუმები. მსგავსად



		პრინციპით ჩამოყალიბდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული უკლებლო ყველა რუბრიკა.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N....		
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზს,	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია საგნობრივ კურიკულუმში თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს: ყველა სამიზნე ცნება, თემისა და სამიზნე ცნებების გათვალისწინებით დამუშავდეს რამდენიმე ქვეცნებები თითოეული თემის ფარგლებში განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები (მხოლოდ კომპლექსური დავალების მატრიცაში გაწეული საკმარისი არაა); სპორტი : სასურველია შეივსოს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სვეტები (ძირითადი კონტექსტ-მაგალითი; კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის).
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია საგნობრივ კურიკულუმში თითოეული კლასში განსაზღვრული იყოს მიახლოებული თარიღები საათების რაოდენობა ყოველი თემის დამუშავებისთვის, აგრეთვე დამუშავდეს ფიქსირდებოდა კომპლექსური დავალების შესრულების ხანგრძლივობა.
2.2.2.1..	სასწავლო პროცესში გამოიყენეს კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი ინდიკატორი	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია თითოეული თემის დამუშავებისას იყოს გამოყენებული მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. დამატებითი რესურსები გამოყენებული იყოს როგორც უშუალოდ მასალის ახსნისა და გადაცემისათვის (თვალსაჩინოებები, მაგალითები, ფოტო/ვიდეო მასალები), აგრეთვე შესწავლილი საკითხების გაგება-გააზრებისთვის (სქემები, თვალსაჩინოებები და სხვა)
2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ქართული ენა და ლიტერატურა - სასურველია კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, მიუხედავად იმისა კლასში

		ირიცხება თუ არა სსსმ მოსწავლე. სასურველია გაიზარდოს კომპლექსური დავალებების რაოდენობა, ან განხორციელდეს პროექტები და ღონისძიებები რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას, როგორიცაა დამოუკიდებელი მუშაობა, კრიტიკულ აზროვნება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ამოცნობა და სხვ.
2.1..2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ქართული ენა და ლიტერატურა - მიუხედავად იმისა, რომ შეფასებების რუბრიკები მრავალფეროვანია, სასურველია ქულათა გადანაწილება მეტად გამჭვირვალე იყოს. თითოეული დავალებისთვის ცალ-ცალკე გაწერილი რუბრიკებში დაკონკრეტდეს ყოველი კრიტერიუმისათვის ქულათა მინიჭების საკითხები. გნმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, გაიწეროს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიც.
2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკებში ნათლად იყოს გამოკვეთილი საკითხი, რომლის შეფასებასაც ვახდენთ და სამიზნე ცნებები, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს საკითხის შეფასება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა თავდაპირველად დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“ (მესამე სტანდარტი- კომპონენტი 3.1 კომპონენტი 3.4. და კომპონენტი 3.6; მეოთხე სტანდარტი კომპონენტი 4.1; მეორე სტანდარტი (დაწყებითი და საბაზო საფეხური) კომპონენტი 2.1.). უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია უკვე შესრულებული და შესასრულებელი სამუშაო ვადების

გათვალისწინებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები.

ყიველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნაში შეფასებული სტანდარტები ასე გამოიყურება:

პირველი სტანდარტი - სრულად შეესაბამება;

მეორე სტანდარტი - მეტწილად შეესაბამება

მესამე სტანდარტი - მეტწილად შეესაბამება

მეოთხე სტანდარტი - სრულად შეესაბამება

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ისინი შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მისიით და ხედვით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხს ურთიერთთანამშრომლობით, პროფესიული ზრდითა და ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნის გზით. ხელს შეუწყობს მოზარდებში უფლებებისა და მოვალეობების გააზრებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, წიგნიერების დონის ამაღლებას, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვას, რაც მოზარდს ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულების, ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციას შესძენს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც 2023 წლის 06 სექტემბერს შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (№1) და დამტკიცებულია 2023 წლის 06 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს (ოქმი №1) სხდომაზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიდგომებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის ხედვა ითვალისწინებს ისეთ ფიზიკურ და ფსიქოემოციურ გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები იგრძნობენ თავს ლაღად და დაცულად, განივითარებენ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, იზრუნებენ თავისუფალი და კომპეტენტური მოქალაქეების ჩამოყალიბებაზე. სკოლის ღირებულებად კი დეკლარირებულია სამართლიანობა, მონაწილეობითი მართვა, ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. სკოლის ფილოსოფია ასახულია სკოლის კულტურაში. კერძოდ, სკოლაში შექმნილია უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეულ მოსწავლეს და სკოლაში დასაქმებულ პირს მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სასკოლო გარემო უსაფრთხო და მამოტივირებელია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რისთვისაც სკოლაში შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, რომელშიც ჩართული იყო მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, დადგინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, SWOT ანალიზის განხორციელების შედეგად, განისაზღვრა კონკრეტული და მკაფიო პრიორიტეტები. ჯგუფის მიერ სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლამ, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია გააზიარა სასკოლო საზოგადოებასთან: მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. გაზიარების ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ონლაინ სივრცე, დამრიგებლების კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, პედაგოგიური საბჭოს ფორმატი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სასწავლო წლის დასაწყისშივე მოხდა მისი გაცნობა, რაც დასტურდება მშობლეთა კრებების ოქმებით. იგი გამოკრული იყო სკოლის შენობაში, საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის

ხელმისაწვდომ ადგილზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ახალსოფლის სკოლისთვის განკუთვნილ გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. 2023 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
3. 2023 წლის 6 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
4. სკოლის წესდება
5. დირექტორის ბრძანება N2-65 22.09.2023

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. იგი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-66 22.09.2024. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს, რომელიც ემყარება თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქვეა საუბარი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებზეც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 27 ოქტომბრის № 4 ოქმით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიზნის მისაღწევს გზებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის იმ ნაწილში



სადაც საუბარია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიაზე ჩამოთვლილია სკოლის ღირებულებები. კერძოდ, სამართლიანობა, მონაწილეობითი მართვა და ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა. მაშინ, როცა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის იმ ნაწილში სადაც საუბარია სკოლის ღირებულებებზე ჩამოთვლილია გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა ობიექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. გამოდის, რომ სხვადასხვა დოკუმენტში გაწერილი სკოლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი, ღირებულებები არაა იდენტური. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებამდე სკოლაში SWOT ანალიზის საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოვლენა. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სტრატეგიული სამოქმედო გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო მონიტორინგი ხორციელდება შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით.

სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ფილოსოფიის ის ნაწილი სადაც საუბარია ღირებულებებზე , განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში იყოს იდენტური.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ოქმი № 4) ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები. (თუმცა არასრულად). სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსიის საფუძველზე, დოკუმენტში ასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: 1.სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება 2.სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება 3.მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 4.უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა 5.მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანი 1. ადამიანური რესურსების განვითარება 2. მოსწავლეთა მხარდაჭერის

გაუმჯობესება სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ ჰქონდა. ინტერვიუს პროცესში სკოლამ განმარტა, რომ აღნიშნული მიზნების გათვალისწინებას აპირებს მომავალ სასწავლო წელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
2. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები
3. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
4. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება N2-36 11.05.2023
5. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 27.10.2024

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-11 მუხლი, რომლის თანახმადაც მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ასევე წარმოადგენენ შესაბამის მტკიცებულებებს. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამეურვეო საბჭო.
ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება დოკუმენტის დანართით წარმოდგენილი ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ კეტდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
ამ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი არ ჰქონდა და არც ვიზიტის დროს წარმოუდგენია მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

- სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების **მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის**, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დგინდება სკოლის მზაობა, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

- სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება, სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სამოქმედო გეგმა გამოკრული იყო საინფორმაციო დაფაზე. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ ასევე, სასწავლო მხარესაც. ორივე მიმართულებით განხორციელებული აქტივობები



სკოლის სამოქმედო გეგმის ნაწილია. სამეურვეო საბჭოს სხდომის შემდეგ ანგარიში გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე. გარდა ამისა სკოლა ცდილობს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. მშობლები ჩართული არიან პროექტების განხორციელებაში, რაც დასტურდება დოკუმენტით, სადაც ჩანს პროექტში მშობელთა ჩართულობა. ასევე, სოციალური ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით ხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება, რაშიც, სკოლის ფეისბუქგვერდის დამთვალიერებელი ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შემდგომ სამეურვეო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც ითვალისწინებს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების და დამტკიცების პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
2. დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში
3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სკოლის წესდების შესაბამისად, საჯარო სკოლებისთვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მოიცავს დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, სკოლის დისციპლინურ კომიტეტს. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მის ეფექტურ ფუნქციონირებას. სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ და შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-07, 11.03.2023წ. დამტკიცებულია დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა სქემატური გამოსახულების სახით ზემოაღნიშნული ბრძანების პირველ დანართად განისაზღვრა და თვალნათლივ წარმოაჩინა სტრუქტურული ერთეულების და პირების იერარქიული დაქვემდებარება. დამტკიცდა სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. კერძოდ, სტრუქტურული ერთეულების: დირექციის (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი), ადმინისტრაციის (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოეკარი,) მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის ფუნქციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიო და დეტალურია, შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აცნობიერებენ, როგორ აისახება მათი საქმიანობა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი ოქმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების

სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება N2-07 11.03.2023 სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა
2. პედაგოგიური საბჭოს ოქმები
3. სამეურვეო საბჭოს ოქმები
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის მიერ შედგენილ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (სამეურვეო საბჭოს ახდომის ოქმი N1, 06.09.2023წ.). გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს

შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. კერძოდ, შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, არეგულირებს სკოლაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მათი მუშაობის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა მიუთითებს, რომ საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება. პრობლემური საკითხის გადაწყვეტა სკოლაში ხდება ურთიერთთანამშრომლობით, გუნდური მუშაობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. . სკოლამ მტკიცებულებდ წარმოადგინა, ასევე ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლიც შესაბამისობაში არ იყო კანონმდებლობასთან. კერძოდ, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ იყო შეყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N174/ნ მუხლი 5 პუნქტი 4 მოთხოვნის შესაბამისად დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.

ხარვეზის გამოვლენის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 30 ივლისის ბრძანება N2-48 დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც შეტანილია ცვლილება და ხარვეზი აღმოფხვრილია.

ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭვირვალებასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი და ცნობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს (სკოლაში თანამშრომლის მიღებისთანავე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც თავმოყრილია დოკუმენტაცია აღნიშნული თანამშრომლის პირადი მონაცემების, განათლების და გამოცდილების შესახებ). როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას და იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც გაწერილია დირექტორის ბრძანება N2-07 11.03.2023 დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს კომპეტენცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. წარდმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. შენაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
2. შინაგანაწესი
3. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
4. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები
5. საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება
6. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი მასალები
7. დასაქმებულთა პირადი საქმეები

8. სამეურვეო საბჭოს ოქმები
9. პედაგოგიური საბჭოს ოქმები
10. კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე

დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მიერ კონტროლდება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პერიოდულად განიხილება სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-13 მუხლი განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება; შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება; კრიტიკული შემთხვევების შეფასება; გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება; სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. აღნიშნული დოკუმენტის მე-15 მუხლში საუბარია პროფესიულ განვითარებაზე და იგი ეხება არა კონკრეტულად მასწავლებელს, არამედ ზოგადად სკოლაში დასაქმებულ პერსონალს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს ;სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშეწყობ აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და „კრიტიკული მეგობრის” ინსტიტუტის ფუნქციონირება, აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის - ტუტორის ჩართულობით მოხდა მამიებელი მასწავლებლის სტატუსის ამაღლება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. ; სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7-მე-9 მუხლი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია - ადაპტაციის პროცესს, რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. დირექტორი აღნიშნავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. უზრუნველყოფს ადამიანური და მატერიალური რესურსებით. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
2. მასწავლებელთა ურთიერთ უკუკავშირი
3. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
5. ტრენინგებზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია
6. თანამშრომელთა პირადი საქმეები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართალია სკოლას ცალკე დოკუმენტი არ აქვს შექმნილი ხარისხის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, მაგრამ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში. სადაც ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ხარისხის ჯგუფების საქმიანობის დებულებაში და სხვ.

სკოლას მიეცა რჩევა შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ცაკლე დოკუმენტი

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სკოლაში არსებული მმართველობითი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება. სკოლაში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობის შესაბამისია და ხელს უწყობს სამოქმედო გეგმისა და სკოლის მისიის შესრულებას. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, კერძოდ, სკოლა შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რაც შემდგომ აისახება კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაში, შესაბამისად სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-07 11.03.2023 შემუშავებული აქვს გასაჩივრების დეტალური პროცედურები. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“, რომლის მიზანია მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მშობლის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით : სკოლას აქვს შინაგანაწესი; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი; უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი; აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლას შემუშავებული და შეთანხმებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგია,

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,
3. ხარისხის ჯგუფების საქმიანობის დებულება
4. სკოლის შინაგანაწესი,
5. სასკოლო სასწავლო გეგმა,
6. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები,
7. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
8. გასაჩივრების დეტალური პროცედურები.
9. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-07 11.03.2023 შექმნილი აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა კითხვარს, სკოლის მიერ წარმოდგენილია შევსებული კითხვარები, რომლის საფუძველზე სკოლის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილებები, მაგალითისთვის მოიყვანეს მშობელთა ინიციატივის საფუძველზე სასკოლო ფორმების შემოღების გადაწყვეტილება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი

მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში, რომელიც მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს მშობელთა კომიტეტი. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.
2. კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის.
3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები
5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
6. მშობელთა კომიტეტის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია როგორც ემოციური, ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში არის აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, თუმცა არაერთხელ გამოცხადებული ვაკანსიისა, ვერ მოხერხდა შესაბამისი კადრის აყვანა პოზიციაზე. რის შემდეგაც სკოლამ სამინისტროსთან შეთანხმებით შეცვალა საშტატო განრიგი და ექიმის ნაცვლად ამჟამად საშტატო განრიგით დამტკიცებულია ექთნის შტატი. სკოლა გეგმავს ზაფხულის განმავლობაში ვაკანსიის გამოცხადებას და სექტემბრამდე ექთნის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანას. ამ ეტაპზე სკოლა საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს სკოლის გვერდით მდებარე

სოფლის ამბულატორიით. სკოლას აქვს რესურსოთახი. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით წარმოადგინა განრიგი, რომლის მიხედვითაც გეგმავს 2025 წლის 29 მარტამდე აღმოფხვრას პრობლემა და შეათანხმოს შსს შესაბამის სამსახურთან აღნიშნული გეგმა. არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისად სკოლამ ვიზიტის განხორციელების პროცესში ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული დოკუმენტი. თუმცა ვიზიტის პროცესში სკოლამ მიმართა შესაბამის სტრუქტურებს პროცესების დაწყებასთან დაკავშირებით. სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ და რომელთან აქტიური თანამშრომლობით მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების ფაქტები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. სკოლაში ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლა ამზადებს საევაკუაციო გეგმებს და სასწავლო პროცესის დაწყებამდე განთავსებული ექნება შესაბამის ადგილებზე.

რეკომენდაცია- სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით 29.03.2024-29.03.2025 უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების გეგმის დამტკიცება.

რეკომენდაცია - არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი ვადების მიხედვით 01.07.2024-01.07.2025 სკოლა მოიპოვებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტურს.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილია ექიმის კაბინეტი. თუმცა არ ჰყავს ექიმი. იმის გამო, რომ მიუხედავად სკოლის მიერ არაერთხელ გამოცხადებული ვაკანსიისა, ექიმის პოზიციაზე ვერ მოხდა კადრის აყვანა, პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა სკოლას უწევს საკუთარი ძალებით და ძირითადად იგი იყენებს სკოლის გვერდით მდებარე სოფლის ამბულატორიას და იქ დასაქმებული სამედიცინო პერსონალის რესურსს.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან საშტატო განრიგის შეთანხმება სადაც ექიმის საშტატო ერთეული ჩანაცვლდა ექთნის საშტატო ერთეულით. სკოლა ემზადება ექთნის პოზიციაზე ვაკანსიის გამოსაცხადებლად. შესაბამისად სასწავლო წლის დაწყებისთვის მას ეყოლება ექთანი, რომელიც შეძლებს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

რეკომენდაცია- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 27.03.2024.-27.03.2025სკოლამ უზრუნველყოს ექიმი/ექთანის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანა.

რჩევა- ადამიანების უსაფრთხოებისა და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები . სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლას, სასწავლო წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბუღინგის წინააღმდეგ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაშიც მოსწავლეებს დახმარებას უწევს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი მოსწავლეთა რეფერირების საშუალებით. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერარზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბუღინგის საწინააღმდეგოდ. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სკოლის უფლება-მოვალეობები ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის მიზნით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებული ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცესი და კონფიდენციალულობის დაცვის

მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავთ სპეციალური მასწავლებელი სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. სკოლის 2020 წლის 1 სექტემბრის დირექტორის №2-62 ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, (დირექტორის ბრძანება 2024 წლის 11 ივნისის №2-24) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოსწავლთა პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ სკოლას აქვს მშობელთა თანხმობები (ფოტო მასალის გამოყენება).

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ სკოლას აქვს ვალდებულება ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, იგი აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, როგორც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შუალედურ რგოლთან.

რჩევა- საქართველო კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტი/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
2. საშტატო განრიგი
3. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
4. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
5. მშობელთა კრების ოქმები
6. კლასის მოსწავლეთა კრების ოქმები
7. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირის დანიშვნის ბრძანება
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ორსართულიანი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №68.07.43.304 ხოლო დაზუსტებული ფართობი 2725,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობანაგებობებით: შენობა-ნაგებობით №1, საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის მიერ მოწოდებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არის რეაბილიტაციამდელი. შესაბამისად მასში ცვლილებებია შესატანი. ასევე, სკოლას წარმოადგენილი აქვს მეორე დოკუმენტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელზეც დატანილია სკოლის კუთვნილი მიწის გვერდით არსებული ტერიტორია, რომელზეც განთავსებულია ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით. აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 68.07.43.425 აღნიშნული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ამონაწერში არ არის მითითებული, რომ მისი მოსარგებლე სკოლაა, მესაკუთრე სახელმწიფოა. სკოლის დირექტორის განმარტებით, რეაბილიტაციის პერიოდში, იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, დაიგეგმა ღია სპორტული მოედნის მშენებლობა. სკოლას მის საკუთრებაში არ ჰქონდა ტერიტორია, რომელზეც სტანდარტის შესაბამისი სტადიონის მშენებლობა იქნებოდა შესაძლებელი, მან საგანმანათლებლო რესურსცენტრის დახმარებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით სკოლის მოსაზღვრედ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შუამდგომლობის შესახებ. ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა სკოლის მოთხოვნა. ადგილზე ვიზიტის დროს ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი ნაწახი იქნა. სკოლის შენობა გარემონტებულია. მისი შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე.

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია საკლასო ოთახები. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორი და ეკრანი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით. საქვაზე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. ამჟამად, საქვაზე არის მუშა მდგომარეობაში, სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (II სართულზე), რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას აქვს 150 მერხი. სკოლის ბალანსზე ირიცხება 34 კომპიუტერი (8 desktop და 26 laptop) კომპიუტერი. 5 მრავალფუნქციური პრინტერი, 7 პროექტორი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური სასწავლო მერხებით, სკამებით სასკოლო დაფით.

რჩევა - სასურველია სკოლამ განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი და დოკუმენტად ინახებოდეს ამონაწერის ის ვარიანტი სადაც ფართის მოსარგებლედ სკოლა იქნება მითითებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი და განრიგი, .ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული

აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (2023 წლის 11 მარტის №2-07 ბრძანება), რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს, რომელიც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მწირია. სკოლა თავისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ახერხებს შესყიდვის განხორციელებას. **სკოლას მიეცა რჩევა წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე იზრუნოს სხვადასხვა პროექტებში ჩართულობით. მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაინტერესებით.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახში დგას მათ საჭიროებაზე მორგებული მერხებიც. სკოლის შენობას აქვს პანდუსი, შენობაში შემოსვლა მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლისთვისაც. შიგნითაა განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პერიოდში ვერ მოხერხდა (ფართის სიმცირის გამო) შენობაში შიგნით ლიფტის დამონტაჟება ეტლით მოსარგებლისთვის უფრო მარტივად რომ ყოფილიყო შესაძლებელი გადაადგილება სართულებს შორის. ამიტომ, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული, რომ პირველ სართულზევე ყოფილიყო განთავსებული ყველა საჭირო ოთახი და კაბინეტი. საჭიროების შემთხვევაში დამატებითაც შეიძლება ოთახების ადგილმონაცვლეობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, გარე სპორტული მოედანი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. - სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად. სკოლას პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ფართით შედარებით დიდი საკლასო ოთახი, რომელსაც იყენებს როგორც სააქტო დარბაზს. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. საკადასტრო რუკა
3. მიღება-ჩაბარების აქტები
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
5. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან

წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. სკოლას გაწერილი აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას და სწავლა-სწავლების ხარისხს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამოებქდონ საჭირო მასალა და ა.შ. ამისთვის სკოლას ასევე გამოყოფილი აქვს საერთო სარგებლობის სივრცეები (სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა) სადაც განთავსებულია ლეპტოპები. სკოლას საგაკვეთილო ცხრილი შემუშავებული აქვს ისე, რომ ლაბორატორიის გამოყენების საშუალება ჰქონდეს ყველა კლასსა და შესაბამის მასწავლებელს. ლაბორატორიაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული რესურსებით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
3. სკოლის eshcool -ისა და eflow-ს გვერდები
4. საერთო სივრცეებით სარგებლობის განრიგი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვედოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სისტემა არის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო

საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მცისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. ფუნქციონირება გადანაწილების ამსახველი დოკუმენტი
5. საქმისწარმოების წესი.
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი
7. 10 დეკემბერს გაგზავნილი ინფორმაცია.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებასათვის. სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც საჯაროდ არის გამოკრული. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე შესაბამისი გვერდი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი და სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. . საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა სახეები და ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის შესახებ. ამასთან, დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. . სკოლას აქვს როგორც მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე გვერდი, ასევე სოციალური ფეისბუქგვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლას აქვს მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე, შესაბამისი გვერდი რომელზეც განთავსებულია შემდეგ ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა განთავსებული ინფორმაცია არაა სრულყოფილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პორტალის მისამართი: <https://skolebi.emis.ge/schools/2428?schoolName=>
2. სოც.ქსელის მისამართი: . https://www.facebook.com/profile.php?id=100086059325520&locale=ka_GE
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლაში იქმნება მომავალი წლის ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოს სკოლამ კომუნალური გადასახადები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, მცირე რაოდენობით საკანცელარიო ნივთები, საგნობრივი კათედრების მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესურსები და სხვა, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს. ზამთრის სეზონზე გათბობის ხარჯების მატებასთან დაკავშირებით სკოლის ბიუჯეტი ხდება დეფიციტური. როგორც მცირეკონტიგენტიანი სკოლა (94 მოსწავლე) იგი ფინანსურ დახმარებას იღებს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით დასტურდება, რომ იგი შეუფერხებლად გასცემს თანამშრომელთა ხელფასებს, შეიძენს საკანცელარიო (ცარცი, ქაღალდი, კარტრიჯების დამუხტვა) საქონელს. რაც შეეხება სამოქმედო გეგმასთან ფინანსების თავსებადობას, სამოქმედო გეგმა ძირითადად არ საჭიროებს ფინანსურ უზრუნველყოფას ისეთი ამოცანების შესრულებისათვის, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა-ძირითადად ადამიანურ რესურსზეა გაწერილი. რაც შეეხება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სკოლა გეგმავს სამინისტროს ინფრასტრუქტურული სააგენტოსა და სხვადასხვა პროექტებში ჩართვით მოიძიოს საკმარისი რესურსები, რაც სრულიად რეალურია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპით. ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავენს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული

რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. სამეურვეო საბჭოში, არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024 წლის სკოლის ბიუჯეტი
2. 2024 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი;
3. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება
4. სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება
5. 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი N6
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი - 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში.
7. 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურება სკოლის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტი. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. ამ უკანასკნელის მიხედვით სკოლა არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - განათლების უფლება. სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე.

ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლაში

უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მოსწავლეების უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.
- შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი

მშობლებთან კომუნიკაციის წესი

გასაჩივრების დეტალური პროცედურები და ა.შ.

აღნიშნული დოკუმენტები ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული, უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლა ინფორმირებულს ხდის მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომების შესახებ, გასაჩივრების წესის შესახებ. აცნობს როდის შეიძლება მიმართონ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი კლასს აცნობს შინაგანაწესს და ქცევის წესებს, შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში საინფორმაციო დაფაზე, ქცევის წესები კი, რომლის შექმნაში მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას განთავსებულია ყველა კლასში. კრებებზე დამრიგებელი მშობლებს აცნობს ხელშეკრულების პირობებს, სადაც ორივე მხარის ინტერესია გათვალისწინებული. სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი „ადამიანის უფლებები“, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაეხმარა მოსწავლეებს თავიანთი უფლებების უკეთ გააზრებაში, ასევე გაზარდა მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დირექციის განმარტებით კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. სკოლა ხელშეკრულებას აფორმებს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების (წრები) მიწოდების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დანიშვნის შესახებ;
3. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
4. სადამრიგებლო პროგრამა;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა.
6. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი
7. მშობლებთან კომუნიკაციის წესი
8. გასაჩივრების დეტალური პროცედურები
9. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის 2024 წლის 11 მარტის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სასურველია დოკუმენტი მეტად იყოს მორგებული სკოლაზე, რადგან მასში განხილულია ისეთი საკითხები, რომელიც არ ეხება საჯარო სკოლებს (მუხლი 1.3.) ასევე დოკუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, მუხლი 1.1. განსაზღვრულია პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პირობები, რაც არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციას.

ხარვეზის გამოვლენის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 29 ივლისის ბრძანება N2-45 დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც შეტანილია ცვლილება და ხარვეზი აღმოფხვრილია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმას, სადაც გაწერილია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ინფორმაცია მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ პერიოდულად იდება სკოლების პრტალზე მათთვის განკუთვნილ გვერდზე და ფეისბუქგვერდზე. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მინიმუმ ორ უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლოს მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერსების გათვალისწინებით. სკოლა სხვადასხვა საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ესგ-ით გათვალისწინებულ მომსახურებას წრეების სახით. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები შენობის ფოიეში არსებულ საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებით მომსახურების სახით გათვალისწინებულია ჭადრაკის წრე, ინგლისური ენის წრე და მათემატიკის წრე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა „პატარა მკითხველის“ წრისა და სამოქალაქო განათლების წრის „ტოლორანტი“ დებულება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ პირად შეხვედრებსაც

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის 2024 წლის 11 მარტის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
2. მოსწავლეთა პირადი საქმეები
3. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool -ის გვერდი,
4. მშობელთა კრების ოქმები
5. სასკოლო სასწავლო გეგმა
6. წრის დებულებები
7. სკოლების პორტალზე შესაბამისი გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2023 წლის 22 სექტემბრის დირექტორის ბრძანება N2-64 მიღებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის 1-ლი მუხლი ეხება პირველ კლასელთა ადაპტაციის მექანიზმებს, ასევე წესში განხილულია გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმები, წესს დანართის სახით ახლავს სკოლით კმაყოფილებით იდენტიფიცირებისათვის კითხვარი, რომელსაც დამრიგებელი იყენებს საჭიროების შემთხვევაში. აქვე განიხილება რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლაში ადაპტაციის ხელშესაწყობად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმი. ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლის სივრცეში ადაპტაციას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ მოედანს. სკოლა აქტიურად ანხორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სასკოლო თუ საკლასო პროექტების სახით. სკოლას გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ურთიერთობა აქვს მეზობელი სოფლის სკოლებთან. საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმების საფუძველზე ახალსოფლის საჯარო სკოლა იყენებს სოფლების ბებნისისა და კეხიჯვრის ინფრასტრუქტურასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ასევე დადგინდა, რომ სკოლა განსაკუთრებულ უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სსსმ მოსწავლეებს. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, თუმცა ეს არ უშლის ხელს მოსწავლეებს საკუთარი ინიციატივები წარადგინონ ადმინისტრაციასთან და მოითხოვონ მათი მხარდაჭერა. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა ჩართულია USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, რიც საფუძველზეც სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბის „ტოლერანტი“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლამ განმარტა, რომ მომავალში იგეგმება სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების კითხვარების შემუშავება, რომელიც თავის მხრივ

დაეხმარება მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მიიღოს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსწავლეთა მომსახურება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ადაპტაციის წესი
2. მოსწავლის პორტფოლიო
3. ისე ჯგუფის შექმნის ბრძანება
4. წრეების სამუშაო გეგმები
5. სასკოლო სასწავლო გეგმა
6. სადამრიგებლო პროგრამა
7. მემორანდუმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეებისთვის, იმისათვის, რომ საბაზო განათლების მიღება, როგორც სავალდებულო, იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა სკოლა ფიქრობს და ზრუნავს მათ მომავალ საქმიანობაზე, ამისათვის ბავშვებს სთავაზობს პროფესიული განათლების მიღებას სხვადასხვა სასწავლებელში. პერიოდულად სკოლაში მოდიან და მოსწავლეებს ხვდებიან სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. დამრიგებლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს პროფორიენტაციის

შესახებ. სკოლა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას არ ახორციელებს, თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა. სკოლა გეგმავს ტერიტორიულად ახლოს მდებარე აგარის პროფესიულ კოლეჯთან, რომელიც ამ ეტაპზე რეაბილიტაციის პროცესს გადის მემორანდუმი გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას - ვიზიტების შემდეგ ხშირად მიუღიათ მოსწავლეებს გადაწყვეტილება და ჩამოყალიბებულან მომავალი პროფესიის არჩევანში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში ხორციელდება შეხვედრები პროექტის „მე ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში, სადაც წარმატებული ადამიანები ხვდებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, აცნობენ ამა თუ იმ პროფესიას და ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში. ხშირ შემთხვევაში მათთან შეხვედრამდე მოსწავლეებს არ აქვთ ნაფიქრი მომავალ პროფესიაზე, სწორედ ამ შეხვედრების შემდგომ ისინი გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებენ. სასურველია შეხვედრები კიდევ უფრო გახშირდეს და გახდეს რეგულარული, როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე, დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები კონკრეტულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა
2. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
3. შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა
4. სკოლის ფეიქბუქ გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლას აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ისგ-ს ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში დასაქმებულ სპეც.მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/დონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს. ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 2 სსსმ მოსწავლე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე მათთვის შედგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სსსმ მოსწავლეებთან გათვალისწინებული აქტივობები მიმდინარეობს რესურს ოთახში, რომელიც აღჭურვილია სასწავლო და ტექნიკური რესურსით, საჭირო ინვენტარით. ყველა მასწავლებელს, მათ შორის სპეციალურ მასწავლებლებსაც შემუშავებული აქვთ მოსწავლეების შეფასებები, ამ შეფასებების მიხედვით, მოსწავლეებთან მიღწეულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სკოლაში ყველა

პირობაა იმისათვის, რომ სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს და ითანამშრომლოს იმ მიზნით, რომ სსსმ მოსწავლეების ადაპტირება გარემოსთან იყოს უმტკივნეულო და წინააღმდეგობების გარეშე. სკოლის შესაბამისი პერსონალი თანამშრომლობს მშობლებთან რათა სსსმ მოსწავლეებს ხელი შეეწყოს პროგრესის მიღწევაში, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაში, ცოდნის მიღებაში და საჭიროებების დადგენაში. სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში და ღონისძიებებში. საგნის მასწავლებლები სპეცმასწავლებელთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ, ხდება მიზნების დასახვა, აქტივობების მორგება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, რესურსების შერჩევა, მომზადება... შეფასებული მოსწავლის პირველ კლასში რეგისტრაცია ხორციელდება რეგისტრაციის პირველ ეტაპზე და სასწავლო წლის დაწყებამდე სხვა კლასის სსსმ მოსწავლეებთან ერთად დგება მათი ინდივიდუალური გეგმები. სკოლის მასწავლებლების მიერ კომპლექსური დავალების შედგენისას, საგნის მასწავლებლის და სპეცმასწავლებლის ურთიერთთანამშრომლობით ხდება კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება თითოეული სსსმ მოსწავლისთვის, მათ საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
2. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
3. ისე ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
5. ადაპტირებული კომპლექსური დავალება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, კერძოდ ტრანსპორტირების სერვისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში “საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა”. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უწევს მომსახურების შემოწმებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, დაგეგმილია მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, სადამრიგებლო რგოლსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების განსავითარებლად 2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, სხვადასხვა საგნობრივი კლუბის შექმნას. მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სასწავლო ექსკურსიებს. ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავად დააფინანსოს მსგავსი ღონისძიებები, აქედან გამომდინარე, ექსკურსიები იგეგმება მშობელთა ინიციატივით მათი განცხადების საფუძველზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეთა ტრანსპორტის მომსახურების უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტი, ხოლო სასკოლო

ექსკურსიების მოწყობისთვის საჭირო პროცედურების დაცვას აკონტროლებს სკოლის დირექტორი. შესაბამისად სკოლა მომავალშიც გააგრძელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი
2. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- დაწყებითი საფეხური- კურიკულუმის შეფასების ფორმა) ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს



1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები
- შესაბ. დაწყებითი საფეხურის თემატური მატრიცა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

○

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი კლასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები/ინსტრუმენტები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 08.04.2024-08.04.2025 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სტანდარტის შესაბამისად აღჭურვა

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
- 2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
- 3.ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
- 4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი,
- შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი,
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანება

- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება

- კურსკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
- 2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
- 3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
- 4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურსკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კვლევები, გამოკითხვები, შედეგების სატატისტიკა და სხვა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
- 2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმი (დაწყებითების კათედრა)2023 -ს ბოლოს.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- კურუკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- კათედრის სხდომის ოქმები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის თემატური მატრიცა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი კლასების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები/ინსტრუმენტები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი,
- შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი,
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანება
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- კვლევები, გამოკითხვები, შედეგების სატატისტიკა და სხვა.
- კათედრის ოქმი 2023 წლის ბოლოს.

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურის- კურიკულუმის შეფასება) ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურის- კურიკულუმის შეფასება) ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია)
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

რეკომენდაცია - არგუმენტირებულ პოზიციაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელში გაწერილი ვადების მიხედვით 26.07.2024 – 16.09.2024. უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის კორექტირებას.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
